

# სადღესასწაულო განგება

წმიდისა და კეთილმსახურისა

## მეფისა თამარისი

ღიღ მწუხარსა ზედა

ვპგალობთ ნეტარ-არს კაცსა, ა აღსავალსა

უფალო ღაღად-ვყავსა ზედა დასდებელი

მუხლი მ. წმიდისა თამარისი ქმად დ. მოგიცემის

მიანიჭე შენ, კაცომოყუარეო, თჯომპრობელსა მეფესა ქართველთასა სიბრძნეს იგი სოლომონისი, დაგითის სიმშვიდტ და მოციქულებრივი კეთილად მსახურებად, რომლისა მიერ კეთილად განაგო მან მეფობად თუსი, ვითარცა მეფეთა მეუფებან და მფლობელთა ყოველთა მფლობელმან, მის თანა შენისა ღმრთებისა განგებულებასა ვადიდებთ, იესუ ყოვლად ძლიერო და მქსნელო სულთა ჩუენთაო.

რტო ნაყოფიერ იქმენ შენ, ღმრთივგანბრძნობილო, აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთისმსახურთა, რომელმან საქმტ, ხედვად და სიყუარული კეთილად წარპმართე და გარდაემატე ძუელთა, გინა ახალთა მეფეთა ღუაწლთა, ქრისტე აღიარე ღმერთად და მეუფებ და ქუელისმოქმედად და მ ქსნელად და მძლედ ყოველთა მთავრობათა და უმაღლეს კელმწიფებათა, წმიდაო თამარ, რომლისათუსცა წარგიმართა ქრისტესმოყუარშ იგი მეფობამ შენი, იესუ ყოვლად ძლიერმან და მქსნელმან სულთა ჩუენთამან.

ვითარცა გული შენი, განბრძნობილი შჯად ერისა შენისა, იყო კელთა შინა ღმრთისამთა, ეგრეცა ღმობიერ ჰყვენ გული ჩუენი ფიცხელნი აწ ტკბილითა წყალობითა შენითა და წარმართენ სლვანი ჩუენი მცნებათა მიმართ საღმრთოთა, რათა შეგუჭურნეს ჩუენ ქელითა თუსითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილუვთა მტერთა ზედა, იესუ ყოვლადძლიერმან და მქსნელმან სულთა ჩუენთამან.

აწ ვითარ აღმოსთქუას გონებათა და პირთა ჩუენთა სიტყვანი კეთილნი: შესხმად, ქებად და დიდებამ ძლევით გურგუნოსნობისა და მძლედ მფლობელობისა შენისა ღირსად შესწორებულნი: სიმშვდტ – საქებელი, ღმობიერებად – მოწლე, მოწყალებად – თანა ღმობილი, უმანკოებად – უზაკუელი, სიწრფოებად – უსიცრუო, სახიერებად – ზოგადი, სიუხუშ აღუზვავებელი და თავი ყოვლისა კეთილისა – შიში ღმრთისამ და მსახურებად მისი შეუორგულებელი, ამისთუსცა ღირს იქმენ, სასუფეველსა ცათასა, რომელი დაგიმტკდრა იესუ ყოვლადძლიერმან და და მქსნელმან სულთა ჩუენთამან.

უფლისა მიერ კურთხეულო და სუე-ამაღლებულო ჰელმწიფე, გიხაროდენ, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობამ ღმრთისამ, რამეთუ ღუაწლი კეთილი მოგიღუაწების, სრბად აღგისრულების და სარწმუნოებად დაგიმარხავს საქმითა კეთილითა განსრულებული, ამისთუსცა მიითუაღე სიმართლისა იგი გურგუნი, რომელი მოგანიჭე შრომათა წილ შენთა წმიდათა, იესუ ყოვლადძლიერმან და მქსნელმან სულთა ჩუენთამან.

### ლილება... ქმად ბ

გონებად შენი უვნებლობითა განაბრწყინვე და საღმრთოთა სიმდაბლითა განაშუენე, ერისა შენისა სულიერად აღმაშენებელო ჰელმწიფე, რამეთუ მეუფებდი რაო ზეგარდამოხთა მით მაღლითა, აღმაღლებდი ჯუარისა საღმრთოთასა ძლევისასა, რომლისა მიერ წარსწმიდნე მტერნი იგი მბრძოლი ქრისტისნი და მშკდობასა შინა განამტკიცენ მართლმადიდებელთა სარწმუნოებად, რომლისათუსცა მზემან სიმართლისამან განგანათლა შენ და მნათობად ცის-კიდეთა გამოგაჩინა.

### აწდა...

ვინ არა გნატრიდეს შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხერწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი ივი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, მტ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოდესა გამოვიდა გამოუთქმელად ქორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთუს კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკვეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათუს სულთა ჩუენთასა.

**შესლევად წარდგომა დღისა და საკითხავი გ  
მესამე მეფეთა საკითხავი (თავი ტ).**

წინასწარმეტყუელება ისაიასი საკითხავი (თავი ა).

წინასწარმეტყუელება ისაიასი საკითხავი (თავი ა).

იხილეთ კა მაისს (ბვ. სტ) წმიდა ელენესა და კონსტანტინეს ხსენების დღეს.

**ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა და წმიდისა, ქმად ა**

საქმენი შენი საკურველნი, კედუთა და საქმითა ბრწყინვალშ, სახე გუექმნა ყოველთა მორწმუნეთა, რამეთუ მოგკოტრობს ყოველი მხესა ქუეშე სათნოებათა შენთა სიკეთესა, გლახაკთა შუამდგომელობასა და ობოლთა და ქურივთა გამოზრდასა, რომლისათუსცა შემწედ გუეპოები მსასოებელთა შენთა და შესხმითა გალობისამთა დაუდუმებელად გადიდებთ.

ოდეს მეფობისა გურგუნითა, ვითარცა ღუაწლის მბლტ, გურგუნისან გყო ქრისტემან მეუფემან, უფროს განამრავლნე მოღუაწება: მარხვად და მღჯარებად უზომოდ, ლოცვად და გლახაკთმოწყალებად, სიყუარული და მოთმინებად და ყოველნივე ნაყოფი სულისანი შეიტყობნე, სიტყუაგებრ წმიდისა მოციქულისა პავლესი, რომელ არიან წმიდანი სათნოებანი, რომლისათუსცა დაუდუმებელად გადიდებთ.

არა კაცთაგან მიძღებელ იქმენ შენ წოდებისა, მსაჯულო სიმართლისაო, არამედ გამორჩევითა მით ზეგარდამომთა, გამოგირჩია ქრისტემან მეუფემან, და მით მოგმადლა შენ კელმწიფებად და მფლობელობად საზეპუროსა ერსა ზედა, ვითარცა მამის პაპასა შენსა, წმიდასა და სანატრელსა მეფესა ჩუენსა დავთ აღმაშენებელსა, რომლისა თანა გხედავთ აწ ზეცისა სასუფეელსა და ქრისტესა ღმერთსა ვადიდებთ, რომელმან თქუენი წმიდა დღესასწაული განაპრწყინვა უფროს ნათლისა მზისა, რამთა განგუანათლებდეს მკურვალედ თქუენდამი მოლტოლკლთა.

იყავ შენ, ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ, ტკბილ, მოწყალე და მდაბალ გონებითა, ჭ, პატიოსანო და ბრძენო კელმწიფეო, და ცხორებითა შენითა შემჭრელ ძირთა ცოდვისათა, და მნათობ და განმანათლებელ მორწმუნეთა და სხუეთა თანა სათნოებათა მეცნიერ შჯულთა საეკლესიოთა, რომლისათუსცა ვაქებთ სიბრძნესა შენსა, წმიდაო თამარ, და სარწმუნოებითა და სასოებით გიღაღადებთ: ევედრე ქრისტესა ღმერთსა ცოდვათა მოტევებისა მონიშებად მედღესასწაულეთა ქსენებისა შენისათა.

ესრეთ შეიყუარე შენ ღმერთი, წყალობისმოყუარეო, აღმატებასა და განდიდებასა შინა, უფროს აღაშენე და წყალობად მოჰყინე ეკლესია-მონასტერთა ელადისათა და მთაწმიდას, პეტრიწონს, თრაკიასა და კონსტანტინებოლეს, რომანასა და კუპრეს – ღალიას, და ყოველთა მას სახახებსა შეგისა მთისასა, ხოლო საქართველომსა ყოველნი საყდარ-ეკლესიანიც არა დაუტევე, არამედ მოწყალებითა იესუს ღმრთისა მსგავსითა წყალობითა დიდითა აღავსნე, რომლისათუსცა არა დაპფარნა ღმერთმან შრომანი შენნი, არამედ ქუაბ-ქმილთა და ნაშენებთა შენთა მიერ განკითქვა ბრწყინვალებად მოღუაწებათა შენთა, და ყოველთა მვედრებელთა შენთა შემწედ და კელისაღმპყრობელად გამოგაჩინა.

სკიპტრად შენი თუ-მპყრობელობისად ზღუდედ უბრძოლველად გჯვის ქართველთა ერსა, ქრისტეს სისხლითა მოსყიდულთა და განთავსუფლებულთა, და ერად საზეპუროდ აღნიშნულთა და აღწერილთა, ჭ, დიდებულო მენე კელმწიფეო, რამეთუ ესრმა გუექადაგა, გუებრძანა და განგუეჩინა შკლთა აღმოსავლეთისათა და ძეთა მართლმადიდებელთა.

ვითარი გურგუნი ქებისად შეუთხზნათ სათნოებათა შენთა ზეშთა აღმატებულთა, თამარ სამ-გზის სანატრელო მეფეო, სიუხვეთა და სიძღაბლეთა, სიძნეთა და სიქუელეთა, განმარჯუებათა და მოწყალებათა, რომელნი ესე ღმერთსა შესწირნე მსხუერპლად სულიერად და საკუერთხად ღმრთივიც მენე და გამოშჩნდი, ვითარცა სულთა ბოროტთა განმდევნელი, და ვითარცა უძილი და მფარველი, რამთა გუაცხოვნნე ჩუენ და განკურნენე მრავალნი წყლულებანი ერისა ჩუენისა.

**დიდებად... ქმად ე**

დღეს იხარებს კრებული ესე ღმრთივ-შეკრებული, და ქსენებასა შენსა წმიდასა პატივს-სცემს ყოვლად-ქებულად მემობელი, გიხარღებ, მეფეთა შორის სანატრელო და კეთილად მოქსენიებულო; გიხარღენ, სიკეთითა და სიტურფითა გამორჩეულო და სარწმუნოებითა შენდამი მვედრებელთა განმანათლებელო, წმიდაო თამარ, რომელმან

ასწავე მრავალთა მამათა და დედათა საზომი სიკეთისა და უდელი მეუღლეობისა; გიხაროდენ, ეკლესიათა განმაპრწყინვებელო და ერისა შენისა აღმატებულითა სიხარულითა აღმამაღლებელო, დიდო პელმწიფეო, დაუცხრომელად ევედრე ქრისტესა ღმერთსა გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობა მშვიდობა და ერისა ჩუენსა დიდი წყალობა.

### აწლა ღმრთისმშობლისა.

#### სტიქარონსა ზედა დასდებელი, ქმა ბ

ქსენება შენი ყოვლად პატიოსანი, განაცისკროვნებს კიდეთა ღმრთივცნობისა ნათლითა, ღმრთივგანბრძობილ გონებათა დამატებობელო ბრძენ პელმწიფეო, რამეთუ შენ მევეთა შორის სიმწისა ღუაწლისა მოღუაწებითა კეთილმსახურად გამოჩნდი და შჯულნი დაიმარხენ ზეციურისა მეუფისანი, რომლისათვისცა სათნო-ყო სიკითხ მეფობისა შენისა შეუფემან ჩუენმან, და პელმწიფეთა სახელისა და დიდებისა შარავანდედად გამოგაჩინა.

**მუკლი. აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა, ვპოვე დავით მონა ჩემი.**

აღხვედ რა მაღლითა სულისა წმიდისა და ცხებულო, ტახტსა მას სამეუფოსა, რომელ მოგენიჭა პელითა უფლისა შენისა მათა, უცხო ექმენ საცურთა სოფლისა და კეთილმსახურებისა წინამბრძოლ და შემწედ უძლეველ გამოშჩნდი, რომლისათვისცა შემწედ გუეპოები შენდამი ესრტ მსასოებელთა, დიდებულო, მწერ პელმწიფეო, და მარადის გიქმობთ, ყოვლად პატიოსანო: გიხაროდენ, თამარ, მართლმორწმუნეთა ბრწყინვალეო სამკაულო.

**მუკლი. ამისთვის გცხო შენ ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.**

მოიღე რა მაღლითასაგან პატივი და ნიჭი მეფობისა, შეიჭურვე საჭურველი ღმრთისმსახურებისა და სიმწე სულისა და საქმითა მართლმადიდებლობისა მათა განბრწყინდი, რომლისათვისცა სოლომონისაებრ გმონებდენ ყოველი მეფენი ქუეყანისანი და წინაშე შენსა ლიტანიობდენ მდიდარი ერისანი, ხოლო ჩუენ ყოველი, ვითარცა დედასა ქართველთა ერისასა ესრტ გქადაგებთ შენ და გალობითა ქებისა მათა ერთქმობით გიღაღადებთ: საწადელისა შენისა ქრისტშის თანა მომიქსენ შემსხმელი შენი.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ეჰა, რაბამი დიდებულება შეგძინა შენ სიმწემან, სანატრელო, რომელმან სამსახურებელი იგი კერპთანი აღპყრობითა და ამაღლებითა ძელისა ცხორებისა მათა დაამჯუ და დაარღვიე ყოველი უღმრთოებისა იგი საცური ძალითა ქრისტშისითა და დასთრგუნე, ხოლო წარმართთა სიმრავლენი მეცნიერებად ღმრთისა მოიყვანენ და დაამტკიცენ მართლმადიდებლობასა, აწ კადნიერებით გჯთხოვე ჩუენ განათლება, განწმედა და დიდი წყალობა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ღმრთისმშობელო, სასორ ყოველთა მვედრებელთა შენთაო, შენგან სასოება გუაქუს, შენგან ვიქადით, შენდა მომართ არს ყოველი სასოება ჩუენი, მეოს გვეყავ შენგან შობილისა მიმართ სულთა ჩუენთათვს.

ცისკრად ღმერთი უფალსა ზედა, ტროპარი წმიდისა 2-გზის, დიდება და აწლა ღმრთისმშობლისა, აღდგომისა.

**კურთხევასა ზედა პურისასა, ტროპარი წმიდისა თამარისი 2-გზის და ღმრთისმშობელო ქალწულო.**

**ტროპარი**

წმიდათა შორის საკურველო, კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ, რომელმან კლდეთა ზედა მაღლითა აღაშენენ საყდარნი სავედრებელად ღმრთისა, ლოცვითა შენითა განაძლიერე მეცნიერებანი ქრისტშისმოყუარისა ქართველთა ერისანი, ხოლო მარჯუენითა შენითა დაამშუენ სპანი აგარეანთანი, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუენი.

**შემდგომად ა კანონისა, წარდგომა**

ზეცისა სუფევისა მკურვალედ სურვილითა, მეუფესა და ღმერთისა ყოველთასა, გონებითა უბიწოდთა პმსახურე, მწერ პელმწიფეო, და მიუდრეკელ ხკდოდი რა და

საშუალ, გზასა მას სამეუფოსა, წარმართე ერნი მცნებათა მიმართ საღმრთოთა, განიოტე ცოდვისა ბელი და განანათლე სავსებად ქრისტის მორწმუნეთა, ეგრეთვე აწ სულთა ჩუქნთათუ გამოქანად ითხოვე, ნეტარო თამარ, და გუძღვდე ჩუქნ სლვად გზასა მას მცნებათასა და შენთანავე ღირს-ყოფად სასუფეველსა ცათასა.

#### დიდებად... იგივე. აწდა ღმრთისმშობლისა.

საღმრთო სამკუდრებელ-იქმნე სიტყვას, მხოლო ყოვლად წმიდაო დედაო და ქალწულო, სიწმიდითა ანგელოზთა უძაღლესო, უფრომ ყოველთა შეცოდებითა მე მტკერ-ქმნილი და კორცითა შეგინებული განმწმიდე ვეღრებითა შენითა საღმრთოთა წყლითა და მომმადლე, წმიდაო, დიდი წყალობად.

#### შემდგომად ბ კანონისა, წარდგომა

რომელმან წარმართენ ძლევანი საკურველი საჭურველითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და მოსრენ ბანაკნი ქრისტის მბრძოლთანი, ითხოვე ქრისტის მიერ, შეურეველად დაცვად ეკლესიათამ, და მოცემად ჯუარითა ძლევად ერსა ჩუქნსა, და სიმტკიცე მორწმუნეთა და ამაღლებად რქისა მათისამ, მწვალებელთა მათ ზედა, მშკდობად სოფელსა და მგალობელთა შენთა დიდი წყალობად.

#### დიდებად. იგივე. აწდა ღმრთისმშობლისა.

წინათ დასახავს გედეონ მიდგომილებასა, ხოლო დავით მოუთხრობს შობასა შენსა, ღმრთისმშობლი, რამეთუ გარდამოხდა ვითარცა წვიმად საწმისასა ზედა სიტყუად მუცელსა შენსა, რომელმანცა აღზარდე იგი უთესლოდ ქრისტე ღმერთი ჩუქნი, ქუეყანაო წმიდაო სოფლისა ცხორებაო, მიმადლებულო.

#### შემდგომად საღილებელისა წარდგომა

რომელმან მზეებრ მოჰკინე წყალობად ღმრთისამ ყოველთა მკუდრთა ქუეყანისა შენისასა და განსწავლენ ქართველნი სიწმიდითა ცხორებად და სიმართლითა სლვად, ეგრეთვე გარდამეტებული სიტყბოებითა შენითა მოგუეც გულისქმის-ყოფად შეცოდებათა ჩუქნთა, და გვკერ მარადის საბრხეთაგან ეშმაგისამთა და შზაკუარებათაგან კაცთამსა, რომელნი ესე სარწმუნოებითა ვევედრებით სახელსა შენსა ღმრთივშუენიერსა და ყოვლად პატიოსანსა, და დაუდუმებელად გაღიდებთ.

#### დიდებად... იგივე. აწდა ღმრთისმშობლისა.

განახლენ, წმიდაო, საღმრთოთა შობითა შენითა, განხრწნილი ვნებათა შინა ქუეყანისა შობილთა მოკუდავი არსებამ, და აღადგინენ ყოველნი სიკუდილისაგან უხრწნელებისა ცხორებად, ამისთუ ჯერისაებრ გნატრით შენ, ქალწულო, უფრომსად ყოვლად საგალობელო.

#### აღსავალი ა, მეოთხე ქმისა

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძუანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთუ გევედრები: შემწე მეყავ და მისენ, სახიერ.

რომელთა გძულო სიონი, სირცხვილეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განხმული თივა შეგჭამნესო გეენიამა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისმდე, ამინ.

სულისა მიერ წმიდასა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების, და განბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

#### წარდგომა, ქმად დ

და აღვამაღლო რჩეული ერისავან ჩემისა.

მუქლი. ამისთუ გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.

ყოველი სული. სახარება ოანესი, თავი ი, მუქლი თ. (პრქუა უფალმან მოსრულთა მათ პურიათა...) დასასრული, მუქლი იზ. (და ერთ მწყემს....)

შემდგომად ნ ფსალმუნისა,

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

მეოთხებითა ღმრთივგრგუნისანისა მეფეთ-მეფისა თამარისითა, მოწყალეო, აღკოცე ცოდვათა ჩუქნთა სიმრავლენი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მეოხებითა ღმრთისმშობელისახთა, მოწყალეო, აღქოცე ცოდვათა ჩუქნთა  
სიმრავლენი.  
მიწყალე მე, ღმერთო...

### შემდგომ ამისა დასდებელი

კსენებად მეფეთ-მეფისა თამარისი აღმოგუბრწყინდა ჩუქნ დღეს, ვითარცა მირონი აღმონადენი, რამეთუ ქრისტე შეიყუარა და ერნი განამტკიცნა, შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულობით უფალთა თჯსთა, და აღამაღლნა ტაძარნი ქუეყანასა ზედა ჩუქნთუს ჯუარცულისა, და მიიღო ცათა შინა გჯრგვი სასოებისა.

კანონი ღმრთისმშობლისა, ძლისპირითა მუქლი ვ,  
(იხილეთ მეფეთა სადღესასწაულო მსახურებაში.)

### სხუად კანონი წმიდისა, მუქლი ც გალობა ა, უგალობდითსა, ქმად დ გუერდი

**ძლისპირი:** ქუეყანასა მწყურნებსა, ვითარცა ქმელისა, განვიდა და შრომათაგან ეგუატესათა განერა ერი ისრაელთამ, ღაღადებდა: მყსნელსა ჩუქნსა და უფალსა უგალობდეთ.

შ მეუფეო, ქრისტე ღმერთო სახიერო, რომელი ესე აწ მძლავრობს და მეუფებს ჩუქნ შორის ცოდვად, ვეღრებითა კეთილმსახურისა მეფისა თამარისახთა მიქსენ მისგან და განმაძლიერენ მე.

რომელი სიჩჩოეთ შენით აღორძინდი საღმრთოეთა წერილითა და მოირწყე მადლობა დაუწყვედელითა ნაკადულითა, სათნოებათა მწყობრნი ჯეროვანად წარპმართენ და წყარომ მოწყალებისა მეუმეველთა განუმრავლე კეთილმოლუაწებითა შენითა.

გულის ჟმის-ყოფად მიუწოდებელი მოგეცა შენ სიყრმით შენითგან და ფრთოვან იქმენ ღმრთისა სიყუარულითა, რამეთუ ღმერთი შეიყუარე სრულიად, ყოვლითა ძალითა შენითა და მოყუასი, ვითარცა თავი თუსი, დიდებულო მსახურო ღმრთისაო, ნეტარო თამარ.

წრფელ, მდაბალ, მშკდ და მოწყალე, და სახიერ იყავ შენ, ნეტარო, შეცულ სიყუარულითა, და ბრძენ და გონიერ, და ყოვლითა კეთილითა განშუენებულ და შეძკულ სათნოებითა.

### დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ვითარცა ხარ ქელმწიფებს უძლეველი და ღუაწლით შემოსილი, ყოვლად ქებული და თანა შემწე სარწმუნოებისა, უსრუთ გუექმენ შემსხმელთა შენთა გოდოლ სიმტკიცისა და შეგვზღუდენ ჩუქნ ოხითა შენითა.

### აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ბჭეო აღმოსავალისა საღმრთოეთა, განმიხუენ მე კარნი სინანულისანი და ბჭეთაგან სიკუდიდ-შემოსილისა ცოდვისათა, მიქსენ შუამდგომლობითა შენითა, ღმრთისა მშენითა,

### გალობა გ, განძლიერდასა

**ძლისპირი:** განმაძლიერებელ მექმენ მე, დამბადებელო ცისაო და ქუეყანისაო წყალთა ზედა. დამამტკიცე მე, ქრისტე, ეკლესიისა კლდესა ზედა, რამეთუ არა ვინ არს წმიდამ შენებრ, კაცთ-მოყუარე.

დღესასწაულობს ერი შენი ქსენებასა შენსა და ღაღადებს შენდა მომართ, წმიდაო თამარ: შ საღმრთოეთა მადლითა განბრწყინვებულო, მეფეო კეთილსახიერო, მოგუხდენ, ზეცით გარდამო და გუკსენ სოფლისა ღელვათაგნ დაუნთქმელად.

სიტყუთა და საქმით ადიდე ღმერთი დიდებული და მცნებათა მისთა იწურთიდ ფრიად, დღისი და ღამით გონებითა წმიდითა, და ვითარცა სუეტი ნათლისამ, ბრწყინვალე ღოცვად შენი აღიწეოდა ზეცას, სანატრელო მეფეო თამარ, გჯოხვე ქრისტეს ღმრთისაგან დიდი წყალობად.

სამკადრებელო სიწმიდისაო და ძირო ყოვლისა სათნოებისაო, ვითარ-იგი ღოცვად შენი შეიწირვის წინაშე ღმრთისა, მას ეგედრე, რამთა მოგუფინოს ქუეყანასა ზედა მშკდობად და სიხარული ცათა შინა.

არა მაქუს მე სიტყუად ლირსი სათნობათა შენთა ბრწყინვალეთა შემკობად, წმიდაო თამარ., არამედ შემნდობელ მექმენ უღირსა ამას და შეიწირე კნინი ესე და უძლური გალობად და ნაცულად მომანიჭე მადლი და წყალობა. დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

შესავედრებელ გუექმენ ჩუენ, და ძალ-ძწე, ზეშთა ბრწყინვალეო კელმწიფეო, რომელნი ესე სარწმუნობითა და სიყუარულითა პატივს-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლად სანატრელსა ქსენებასა შენსა და დაუცხრომელად გადიდებთ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოქალაქებისაგან წმიდასა განვგარდი, ყოვლადწმიდაო, და ვებაძუე პირუტყვთა და ყოვლითურთ დაშვილ ვიქმენ, მშობელო მსაჯულისაო, ყოვლისაგან დაშვისა მიქსენ და მაცხოვნე მე.

### წარდგომა

საცხებელი სიხარულისა სცხე დიდებულად და ყოვლადშუენიერად მოყუასესა შენსა, მქნელო, რომელმან ღმრთისმსახურებითა განაგო რაო მეფობად თუსი, ყოველი შველი ცხორებისამ კეთილად დაიმარსა და ყოველი მცნებანი ღმრთისანი ჯეროვნად აღასრულა, ხოლო ლოცვითა და მარხვითა შეზღუდვილმან საცორუი მოიძაგა და შეუნიერებად შეიყუარა, რამეთუ ზეცისა ღმრთისა მფარველნი ანგელოზნი უძლოდენ და ჰუარვიდენ მას ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ჭეშმარიტად საკურველ-არს სურკლი და სიყუარული შენი და ღმრთისმსახურებად, კეთილმსახურო მეფეო თამარ, რამეთუ სხუათა მათ სათნობათა შენთა კლდეთა ზედა მაღალთა და ადგილთა მათ წმიდათა აღაშენენ ტაძარნი და მონასტერნი სადიდებელად ღმრთისა და შეამკევ შუენიერად, და იქმენ მნათობ უბრწყინვალეს მზისა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უსძლოო ღმრთისმშობელო, ქალწულო წმიდაო, მხოლოო მორწმუნეთა შუამდგომელო, დაგუფარენ განსაცდელთა და ჭირთაგან, და ბოროტის გარემოდგომილებისა გაკსნენ ყოველნი, უბიწოო, რომელთა ყოველი სასოებად შენ ზედა დაგუმს, და აცხოვნენ სულნი ჩუენნი საღმრთოთა ვედრებითა შენითა.

### გალობა დ, უფალო მესძას

**ძლისპირი:** მესმა, უფალო, განგებად საიდუმლოთა შენთა გამოუთქმელთამ, განვიცადენ საქმენი შენნი და აღვიარე მე ღმრთებად შენ.

აწ ადიდებს ქსენებასა ღუაწლთა შენთასა კრებული მორწმუნეთა, და იქადის მეტეხი და ვარძია ლოცვათათუ შენთა მკურვალეთა, სასუფეველისა დიდებისა მხილველო მეფეო თამარ, ლოცუთა შენითა ღირს-მყენ ჩუენცა ხილვად დიდებისა მისისა.

ღმრთისა ბრწყინვალებათა ლამპარო მრავალმანათობო, მზემან სიმართლისამან განგანათლა შენ და მნათობად ცის-კიდეთა გამოგაჩინა, აწ ბნელი ცოდვათა ჩუენთა განანათლე სიწმიდითა შენითა, გევედრებით.

ვითარცა ახოვანმან მოღუაწემან და მძლე-მძლავრმან, აღიჭურვე მკლავნიცა მოწყედად წინააღმდეგომთა ღმრთისათა და ერიცა შენი, დედისა ღმრთისა წილ-ხდომილი და კურთხეული, უშიშად დაიცევ, ხოლო ქუეყანად შენი განავრცენ და აღყუავენ.

რომელმან აღაშენე მონასტერნი ესე დიდებული და წმიდანი ეკლესიანი შემწყნარებელად ნათესავისა შენისა, ღმრთივშუენიერად შეიწყნარე მადლთა ბრწყინვალებად და წესი ღმრთივსულიერი ერსა შენსა დაუტევე, ნეტარო თამარ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ზეცისა ძალთა ბანაკსა შეერთე შენ, მეფეო ყოვლად ბრწყინვალეო, რამეთუ ღმერთსა პმსახურე კეთილად და განუსვენე საქმეთა მიერ საწადელთა, აწ კარნი წყალობისანი განგუხუენ ოხითა შენითა, გევედრებით.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ცისკროვან-ჰყავ სული ჩემი, დაბნელებული შეცოდებათა სიმრავლითა, რომელმან ჰშევ მზც სიმართლისამ, მარადის ქალწულო.

### **გალობა ე, დამითვანსა**

**ძლისპირი:** განგვანათლებ ჩუენ ნათლითა შენითა, უფალო, და მკლავითა მაღლითა მორწმუნეთა მშვიდობად შენი ზეცით მომეც ჩუენ, კაცო-მოყვარე.

შეიზღუდე შენ შიშითა ღმრთისათა, სანატრელო, და სიწმიდითა აღასრულე რამ ცხორებად შენი, უზემთაეს ყოველთა მეფეთა და ბრძნითა კეთილად განაჩინე მეფობად შენი და განადიდე სიძნეს და ზეობად შენი.

შენ შეგირდებით მუქლმოდრეკით, და გავედრებით ქელაღბყრობით მლოცველნი, ყოვლად ტკბილო და საწადელო პელმწიფეო, პატიუთა მათგან ჯოჯოხეთისათა გუქსენ ტკბილითა მით წყალობითა შენითა დაუცხრომელად შენდმი მვედრებელნი.

ჰმატდი შენ ყოველთა დედათა სიბრძნითა და გონიერებითა, სიძნისა ღუაწლისა მოღუაწებითა დიდებულო პელმწიფეო, რომლისათუსცა განგადიდა შენ ქრისტემან მეუფებან და მოგანიჭა ლხინებად საუცუნოე.

ითხოვე, წმიდაო სათნო ღმრთისაო, ყოვლისა სოფლისათუს მშკდობით დაცვად და ერსა ჩუენსა – ძლევად და დამტკიცებად მართმადიდებლობისამ ქრისტეს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობად.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

შ საჩინო და საწადელო პელმწიფეო, გარდამეტებულითა სიტკბოებითა შენითა გუქსენ ყოვლისაგან იწროებისა და საუკუნომსაგან საშჯელისა წინაშე ხატსა შენსა მდგომარენი და ღირსებით პატივისმცემელნი ქსენებისა შენისანი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

მეოხ-გუეყავ, ძისა შენისა, ღმრთისმშობელო რამთა გარდამოგულინოს სიმრავლე მოწყალებათამ, ვითარცა გაქუს კადნიერებად.

### **გალობა ვ, დაღადყავსა**

**ძლისპირი:** ვედრებასა ჩემსა განგვევენ უფლისა მიმართ და მას აუვარებ ბრალთა ჩემთა მარადის, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია, და იონაასებრ ვლადადებ: აღმომიყუანე მე, ღმერთო ჩემო, უფსკრულისაგან ცოდვისა.

ვითარცა ვარსკულავი ღმრთივბრწყინვალე გამოუჩნდი ღელვა-გვემულთა, სოფლისა ზღუასა შინა დანთქმულთა ექმენ მნათობ და ჯუარისა ძალსა მინდობილმან დამდაბლენ ქემდაღლობად უშჯულოთა მეფეთამ, ნეტარო თამარ.

შემოიკრიბე რამ კრებული წმიდათა მამათამ, ვითარცა მწემან მოღუაწემან, განკმართენ ყოველნი წესი უდებთაგან დაქსილნი და განადიდე სარწმუნოებამ ქემმარიტი და ღმრთივგურთხული, ბრძნენ პელმწიფეო.

ცოდვათაგან მოძრავი და ვნებათაგან ღელვა-გვემული მაცხოვნე და მიმიღებუ ნავთსაყუდელსა საღმრთოსა მცნებათასა, სიქადულო დედათაო, რამეთუ შენ ხარ მყედრო ნავთსაყუდელი ღელვა-გვემულთა.

ნუ დაიწყებ ერსა შენსა, დედოფალო, და ღმრთივმისათუალველითა ლოცვითა შენითა ნუ მოიკსენებ ძკრსა ჩუენსა, არამედ დაშრიტე აღძრებად უკეთურთამ და მწვალებელთა ენანი მოაუძლურენ, ხოლო მართლ-აღმსარებელთა აღამაღლენ გურგუნი და მშკდობად მოპარდლე ერსა ქრისტენეთასა.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

რომელი განანათლებ სულთა შიშითა და ლმობიერად მვედრებელთა სიწმიდისა შენისათა და საკრველისაგან იქნი შენითა ღმრთისა მიმართ სათნომთა ლოცვითა, შეიწირე ჩუენიცა უნდომ ესე გალობად და გუთხოვე ქრისტეს ღმრთისაგან ცოდვათა ლხინებად და წყალობად, ნეტარო თამარ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

განკურნე უკურნებელი, უძლური, დაპყრობითა სიბოროტისათა, მბვინვარედ მოწყლული გული ჩემი, ყრმააო, და შენმიერსა კურნებასა ღირს-მყავ და მაცხოვნე მე, მოსავი შენი მეოხებითა შენითა, ყოვლადწმიდაო.

### **კონდაკი, ქმად მ**

ზეციერი სიბრძნეს და ცხორებად მოიგე და ბრწყინავ, ვითარცა მზტ, ხოლო შარავანდედთა მიერ საქმეთა შენთამთა განანათლებ ყოველთა, რომელნი სურვილით აქებენ პატიოსანთა ღუაწლითა შენთა, სამ-გზის სანატრელო, მეფეო თამარ, ჩუენ

მოყუარეთა შენთა და სურჯლით პატივისმცემელთა, მოგუეც ზეცით ცხორებისა წარმართებამ, და შეცოდებათა ქსნამ.

#### იკოსი

შეგემოსა, დიდებულო, მოწყალებამ, ვითარცა პორფირი, და კეთილი სიმშვდშ, ვითარცა მოწყეული, ხოლო გურგუნად დაგედგა, სახელ-დიდო მეფეო ქართველთაო, მწყობრი ყოველთა სათნოებათამ და გონებითა სრულითა პმონებდი უფალსა და ესრეთ შემკობილი შეხუედ სასუფეველსა და აკურთხევ ქრისტესა ღმერთსა უკუნისამდე.

#### გალობა ზ, კურთხეულარსა

**ძლისპირი:** ყრმანი ებრაელნი საკუმილსა შინა ვიდოდეს ცეცხლსა ზედა კადნიერებით შეცურეულნი ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

მცნებათა შენთა დაცვითა შჯულსა შენსა ერჩდა, მქსნელო, ძლევამოსილი მეფშ ქართველთამ, ამისთვის უშჯულონი სპარაზენი აღმოფხურნა და იტყოდა: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

სიხარულისა მომფენელო სიბრძნისა საუნჯეო, კრებული ესე შენ მიერ განათლებული, დღესასწაულსა შენსა სიხარულითა შემოვკრბებით და დამბადებულსა ვადიდებთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

გამოშჩნდი, დიდებულო ქრისტეს მსახურო, შუენიერებითა და გონიერებითა შენითა, და ღირს-მყავ შესხმად ქებულებისა შენისა, რომელნი ესე ამბორს უყოფთ ხატსა შენსა ყოვლად პატიოსანსა და ქრისტესა დაუდუმებელად ვადიდებთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

გამოშჩნდი რამ მუშაკ სათნოებათა, კეთილად დამწესე ერი შენი, საზეპურო ღმრთისამ და აღიღე მისგან საძაგლება უშჯულოებისამ, რომლისათვისცა სამადლობელსა გალობასა აღუვლენთ ღმერთსა: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

#### დიღებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულისა,

ზეგარდამოხთა მით მადლითა განათლებულმან, ბნელისა იგი უჩინო წყუდიადი განიოტე, და სირცხულეულ-ყვენ რამ ყოველი მტერნი ღმრთისანი, წადიერად და სურვილით აღმოიტყოდი: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

#### აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ნებითა ჩემითა შეცოდებული და დამონებული ჩვეულებისაგან უკერომსა, მოწყალებისა მომართ შენისა მოვივლტი განწირული, მაცხოვნე, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო.

#### გალობა ტ, აკურთხევდითსა

**ძლისპირი:** შკდწილ აღაგზნა საჯუმილი, მძლავრმან ქალდეველმან ყრმათათვის გულისწყორმითა, და რისხვითა, და ძალითა მაღლისამთა იხილნა უვნებელად დაცულნი ცეცხლისაგან განუხრწნელად, და დამბადებელისა მიმართ და მქსნელისა ღაღად-ყო: აკურთხევდით ყრმანი, და მღდელნი უგალობდით, ერნი უფრომსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

უფალსა ყოვლის-მპყრობელსა ევედრე, ყოვლად დიდებულო კელმწიფეო, ჩუენ უღირსთა მონათათვის, რამთა შენთანა უგალობდეთ მეუფესა ტკბილსა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფრომსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

მარხუამ და ლოცუად დაუცადებელი მოიგე, მქნეო პელმწიფეო, მღუძარებამ და ზე-დგომამ უკორცოთა მიმსგავსებული, და ესრეთ აღასრულე სრბამ შენი და წადიერად უღაღადე ღმერთსა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფრომსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

არა ეც ძილი თუალთა შენთა, არცა პრული წამთა შენთა, არამედ ლოცვითა და შრომითა განსწმიდე რამ სული შენი, შეებსჭუალე სიყუარულსა ქრისტესა, და დაღდებდი გალობასა ძლევისასა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფრომსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

მეფევ სკანო, მშენებლი, წერარო და მდაბალო, მქნეო, ქუელო, კეთილ-მძღვეო, და არ შერყეულო, შენ გაქებს პირი და ენა, სული, გული და კონება, და შენთანა უგალობთ დამბადებელსა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**გაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.**

დღეს კისენებასა წმიდასა და ერის-კრებასა დიდისა მეფისასა, იშუებს ერი მორწმუნე და ღმრთივგანბრძნობილთა, მოყურეთა ღლესასწაულისათა კრებული, რამთუ სახარულევან არს ერისადა მწყემსი, მეოზი და ღმრთისა მიმართ მჯურვალედ მგალობელი: მღდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

თუაღნი სულისა ჩემისანი გარდასლუთა დაბრმობილნი, ღმრთისმშობელო, განანათლენ, გონებამ და გული მრავალ-ხატითა აღშფოთებული დაამზრდენ, გვედრები, მაცხოვე მე მგალობელი: ყრმანი და მღდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**გაქებთ, გაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.**

### **გალობა თ, აღიდებდითსა**

**ძლისპირი:** განკურდეს ზესკნელს ცანი, და კიდენი ქუეყანისანი შეძრწუნებულ იქმნეს, რაჟამს ღმერთი შენ მიერ კაცთა გამოუგრწყინდა და საშოო შენი უმაღლეს ცათა საყდართა გამოაჩინა. ამისთვის, ღმრთისმშობელო, ანგელოზნი და კაცნი, ვითარცა ღიას ხარ, გადიდებენ შენ.

იხარებ შენ გუნდთა მათ თანა ანგელოზთასა, ყოვლად წეტარო დედოფალო, რამთუ სიმწით იღუაწე კორცითა, ვითარცა უკორცომან და გნანათლე შენდა რწმუნებული იგი ერი ქრისტეს მოსახელშ, წმიდაო თამარ.

სიყუარული და სურვილი მოწყალებათა მაღალი, ვითარცა პორფირი შეგემოსნეს შენ, ღმრთისმოყუარეო ცხებულო უფლისაო, რამთუ წყალობითა ყოველთამთა მოიგე წყალობამ ღმრთისამ, ხოლო ცათა შინა მიიღე გურუნი სასოებისამ.

პირად-პირადად შემკულ ხარ გურუნითა და შარაგანდედითა, და კუერთხითა სამეუფომთა, და პორფირითა და ბისონითა, შუენიერო დიდებაო კელმწიფეთაო, და პსეუდევ მეუფისა თანა ძალთასა, რამთუ ღმერთსა მსახურე კეთილად და განუსენე საქმეთა მიერ საწადელთა.

მიცვალებასა შენსა, სანატრელო, აკურთხე ყოველი და მხიარულებით ანგელოზთა კრებულმა შეიწყარა სული შენი უბიწოდ, რომელთა შორის იშუებ, სკაპტრისმპყრობელთა შორის უსაჩინოესო დედოფალო, წმიდაო თამარ, და მეოხ-ხარ სულთა ჩუენთათვს.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

აწ შეისა ბრწყინვალებისა უბრწყინვალეს ელვარე ხარ, მადლითა სულისამთა მღვმარეო კელმწიფეო, შარაგანდედი ღოცუსა შენისამ მოგუფინე და ზიარ-მყვენ ნათელსა შენსა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ყოველთა შემოქმედი და უფალი, მიდგომილმან შევ უკუე, ქალწულო, და აჰა, აწ მდგომარე ხარ მარჯუნით მამისა, ვითარცა დედოფალი, წმიდაო, ამისთვისცა გვედრებით შენ, ნაწილისაგან მარცხნისა მიქსენ მე დღესა შინა სასჯელისასა და მარჯვენითთა ცხოვართა თანა აღმრაცხე.

### **განმანათლებელი**

დიდბურებოვანო, ძლიერო და სუე-ღოვლათიანო მეფეო ქართველთაო, ვერ წარგიპარა შენ სიმღიდრებან და ღიდებამნ, ვითარცა ძველ-ოდესმე მეფენი მრავალნი, არამედ პირველად ეძიებდი სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგებინა შენ, ხოლო აწ აღრაცხულ ხარ ბრწყინვალებასა შინა წმიდათასა, და მოყუარეთა სიწმიდისა შენისათა მიანიჭებ გურნებასა და განათლებასა.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

მფლობელმან დაბადებულთამან იხილა მორჩილებად გონებისა შენისამ, და განაბრწყინვა რამ სულთა ცნობამ შენი ღმრთისმეცნიერებითა, სარწმუნო გყო

სოფელსა შინა და ბრწყინვალმ, უფრომს მზისა, ბრწყინვალებითა კეთილთა საქმეთამთა გამოგაჩინა, სანატრელო მეფეო, წმიდაო თამარ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ხატისა შენისა არა თაყუანის-მცემელნი, ძისა და ღმრთისა შენისა, ქალწულო, სარწმუნოებითა წმიდითა განსდევნენ, ვითარცა უღმრთონი, და გეპენიასა შინა შთასთხიენ.

### აქებდითსა ზედა დასდებელნი, შექლი ვ, ქმა ა, შენ სიტყვამ

მხიარულითა გულითა მოვრბილდეთ, მორწმუნენო, ტაბარსა ღმრთისასა, ვინილოთ და მოვიღოთ მადლი იგი დავითის ძირთაგან აღმომორჩებულისა და აბრაჰამისებრითა სიუხუთა განშუენებულისა თამარისი, ანუ დაგეროთ ნესტუსა გალობათასა, და განვსცხებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა წმიდისა მეფისა ჩუენისასა, და ვადიდებდეთ კსენებასა მისსა ყოვლად ბრწყინვალესა და საქლოვანსა.

ღმრთისა მიერ მოცემული მაღლი, განმანათლებელი სულთა, მოიღე შენ ბწყინვალედ და ერი შენი განსწურთნენ სიტყუთა და საქმითა საღმრთომთა, ეგრეთვე ჩუენცა ნუ დაგვიწყებ, დედოფალო, და მოგვანიჭე სიბრძნეს კეთილისა და ბოროტების განრჩევისა და მოგვეც ძალი მოტევებისა, რათა სიყუარულითა ღმრთისა და მოყვასისამთა ერთ ზრახვად შეკრულნი ვიდოდეთ მამულ-პაპურსა გზასა ზედა და მარადის გნატრიდეთ შენ, ჭეშმარიტად საქებელსა.

ვითარცა ლომი საცნაურ არს ბრწყინვალთაგან თჯსთა, ეგრეთვე შენ, მეფეთა შორის საჩინოო და სანატრელო, საცნაურ იქმენ ღუაწლთაგან შენთა ურიცხუთა და საკურველთა, რომლისა ღირსად გამოთქუმად ვერ ძალუძს ენასა კაცისასა, არამედ იხარებს და განსცხების ივერთა ეკლესიად კსენებითა შენითა, და იქადის და ღაღადებს ყინწვისი და ბეთანია მადლითა და დიდებითა შენითა, ხოლო ჩუენ მხილველნი ვარძიისა და ქუაბ-ქმილთა კლდეთა, გუეშინის რამ დაღუებად, სარწმუნოებითა და სასოებით გიღდადადებთ, და ვითარცა ქუეყანისა ჩუენისა განმაშუენებელსა და ეკლესია-მონასტერთა აღმაშენებელსა, გალობითა ქებისამთა დაუცხრომელად გაღიღებთ.

სუფევდი რამ სამეფოთა და სამფლობელოთა შინა შენთა სიძნითა და სიქველითა დავითიანითა, იქმენ უბრძნეს ბრძნისა მის სოლომონისა, რამეთუ არა შეშინდი შენ შიშისაგან მაცოურისა მტერისა, არამედ მშკლდი და ისარნი ეშმაკთანი შემუსრენ ლოცუთა მჟურვალითა, და ენამ გესლოვანი უღმრთოთა მწვალებელთამ დაქსენ ძალითა საღმრთომთა, რომლისა მიერ აღმაღლე გურგუნი მართლმადიდებელთამ და განადიდე სარწმუნოებამ ჭეშმარიტი და ღმრთივკურთხეული, ხოლო აწ იხარებს სული შენი წინაშე წმიდისა სამებისა და განიცდი დიღებასა გამოიუთქმებელსა, ნეტარო თამარ.

რომელმან სიმდაბლითა, სიმწკდითა და უხუებითა განვლე ცხორებამ შენი დიდებული ქუეყანისა ზედა და კაცომოფუარებითა განაგე ერი ჩუენი რწმუნებული შენდა, აწ ჩუენცა ნუ დაგვიწყებ, სანატრელო, რომელნი ესე ვართ მძლავრებასა შინა დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, არამედ რისხვამ ღმრთისამ მოწყვალებად შეგკცვალე, ხოლო სიბოროტით ცხორებამ სათნო-ყოფად ღმრთისა აღგვასრულებინე, მწუხარებამ სიხარულად გარდაგჲირე და უმეცრებამ გონიერებად შეგვაწყნარე, რამთა ერთობითა სარწმუნოებისამთა და სიყუარულითა აღგიარებდეთ, ვითარცა წინამდლოლსა და განმაცისკრებელსა ერისა ჩუენისასა და დაუცხრომელად გნატრიდეთ.

საქმეთა მიერ საღმრთომთა იქმენ ტაძარ ქრისტისა და მიემსგავსე მწყემსსა კეთილსა, რამეთუ მცნებანი ღმრთისანი, ვითარცა ქუეყანამან რჩეულმან შეიწყნარენ, და კეთილთა საქმეთა მოქმედებისა, კეთილნაყოფი აღმოაცენე, გამომზრდებლი გონებისა ჩუენისა, მსგავსებითა ცხორებისა შენისამთა, რომლისათჯუცა დღესასწაულობს ერი შენი ქსენებასა შენსა, და ღაღადებს შენდა მომართ: მოგუხედენ, ჭ, წმიდაო სათნო ღმრთისაო, ნეტარო თამარ, და ითხოვე ქრისტის ღმრთისაგან მგალობელთა შენთათჯს გამოქსნამ ღელვათაგან მძუნვარეთა, რომელთა აღგუძრავს მტერი იგი მოშურნეს, არამედ

შენითა ველრებითა დაქსენ ეშმაკი საცოტოი და ლირს-გვყვენ შენთანა სიხარულსა დაუსრულებელსა.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

გიხაროდენ, სწორუპოვარო დიღო ხელმწიფე, რომელი შეიჭურვე საჭურველითა ჯუარისამთა, სასოებითა სარწმუნოებისამთა და სიყუარულითა სიმტკიცისამთა და დაპლეწე ყოველი საჭურველი მმვინვარისა ბრძოლისა; გიხაროდენ, დავითის ბრწყინვალეთა ძლევათა აღმადგინებელო და განმამტკიცებელო სახელისათვის ქრისტისა; გიხაროდენ, მართლმადიდებლობისა წყაროო დაუწყველელო, რომელი დაათრობ კიდეთა ქუეყანისათა; გიხაროდენ, სიქადულო დედათაო, შკლთა მორჩილებად მამა-დედათა, და მშობელთა — სულითა საღმრთომთა შკლთა საყუარელთა მოწყვალებად განმწვრთუნელო; გიხაროდენ, ქრისტეანეთა მეუეთა შარავანდედისა განმაბრწყინვებელო და სამეფოთა შენთა ერთ ზრაპუად შემკვრელო, სამგზის სანატრელო წმიდაო თამარ, მოსავნი შენი ვითხოვთ ღმრთისაგან მშკლობასა და დიდსა წყალობასა.

**აწდა, ღმრთისმშობლისა.**

**დემეტრე საქართველოს მეფისა, ბაგრატოვანისა.**

შენ ხარ ვენახი, ახლად აყუავებული,

მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,

ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული,

ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,

და თავით თუსით მზე ხარ გაბრწყინვებული.

**დიდებამ მაღალი — გრძლად.**

**კვერუესი და განტევება.**

## ლიტურლიასა ზედა.

მომიქსენენი კანონისაგან წმიდისა გალობა გ, და ვ, მუხლი ტ

წარდგომა: ქმად დ. აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა, ვპოვე დავით მონამ ჩემი. მუქლი. ამისთვის გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებული სიხარულისა.

სამოციქულო. პრომაელთა, თავი იგ, მუქლი ა

ძმანო ყოველნი კელმწიფებასა უმთავრესისასა მას დაემორჩილნენ.

დასასრული, მუქლი ია

აღმასრულებელი ჰსჯულისა სიყუარული არს.

ალილუია, ქმად ა

ძალითა შენითა იხარებდეს მეფე, და მაცხოვარებითა შენითა იშუებდეს ფრიად.

მუქლი. მოიქსენე, უფალო, დავით და ყოველი სიმშკდშ მისი.

სახარება ითანესი, თავი ი, მუქლი ა

პრქუა უფალმან მოსრულთა მათ მისსა მიმართ ჰურიათა...

დასასრული, მუქლი ი

და საძოვარი ჰპოვოს...

განიცადე

საქსენებელად საუგუნოდ იყოს მართალი.